ოქმი:**ო12.37210601**
თარიღი:**01/03/2021**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2021 წელი, 24 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ზოიძე, ლ. სიჭინავა, ალ. ღლონტი, ხ. ცერცვაძე, ვ. ჩიგოგიძე, ჯ. თავართქილაძე, თ. ტუღუში, ლ. ნინიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ლ. ბიგვავა, დ. მდინარაძე.
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ი. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების მონიტორინგის შესახებ.

მომხსენებელი: ლ. საჯაია

თანამომხსენებელი: ი. სირაძე

თანამომხსენებელმა ი. სირაძემ ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე, სიახლეებზე, აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ორ თვეში პრობლემა არ შექმნილა არც ერთ პროგრამაში, მოქალაქეთა განცხადებები ძირითადად მედიკამენტებით დახმარებაზე შემოდის, მაგრამ მათი მოცულობა იმდენად დიდია, რომ მათი ერთბაშად დაკმაყოფილება შეუძლებელია-წლის მანძილზე კი ყველა დაკმაყოფილდება. შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ გამოთქვა მოსაზრება 18 წელს მიღწეული სახელმწიფო ზრუნვას მიტოვებული ახალგაზრდების დახმარების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებებისთვის შესაბამის სახელმწიფო ორგანოზე მიმართვის აუცილებლობის თაობაზე.

კომისიის წევრმა ლ. ნინიძემ დასვა შეკითხვა-როდის იგეგმება- კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა? განუმარტეს, რომ პანდემიის გამო რეგულაციები კიდევ უფრო გამკაცრდება. კომისიის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ დასვა შეკითხვა-მუნიციპალიტეტის მერია ხომ არ გეგმავს პანდემიის გამო შეჭივრებულ ადამიანებზე სასურსათო დახმარების გაცემას? გამუმარტეს, რომ არსებული შემოსავლების პირობებში შეუძლებელია.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ი. სირაძის ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების მონიტორინგის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი